



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

### მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

2017 წლის 28 ივნისის პარლამენტის გადაწყვეტილებით სამოქალაქო კოდექსს დაემატება ახალი ჯანმრთელობის დაზღვევის თავი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 10 ივლისს.

ცვლილებების თანახმად, ჯანმრთელობის დაზღვევა ფარავს როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ასევე დაზიანებისა და სხვა სახის მომსახურების ხარჯებს.

ცვლილებებით განისაზღვრა მომხმარებლის უფლებები - ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციისას შეუზღუდავად ისარგებლოს კანონით განსაზღვრული შესაძლებლობებით. დამატებით განმტკიცდა, ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენების შესაძლებლობა.

ცვლილებების თანახმად, მკაცრად განისაზღვრა ჯანმრთელობის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების მოქმედების სფერო, რომელიც გამორიცხავს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან არასწორ და მანკიერ პრაქტიკას, ზიანის ანაზღაურებაზე უარისთვის გამოიყენონ კანონის ანალოგია ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით.





### მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

2017 წლის 13 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 30 ივნისს მიღებული საგადასახადო კოდექსში შემავალი რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მათ შორის:

- საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლს დაემატა მე-12 ნაწილი, რომლის თანახმად ზარალის გადატანის შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება შეეხება მხოლოდ იმ საგადასახადო ვალდებულებებს, რომლის ოდენობაზეც გავლენას ახდენს ზარალის გადატანა.
- მე-4 მუხლს დაემატა მე-13 ნაწილი, რომლითაც დგინდება, რომ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა გაშვებულად არ ჩაითვლება, თუ საგადასახადო ორგანომ შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნა გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განათავსა ამ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.
- 82-ე მუხლს დაემატა ახალი ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკუთრების აღიარების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.
- 309-ე მუხლს დაემატა 103-ე ნაწილი, რომლის მიხედვით:

ამ კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის მიზნებისთვის:

- ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად მიიჩნევა, ხოლო ამ დივიდენდის მიმღები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) მიერ მისი შემდგომი განაწილება მოგების განაწილებად არ მიიჩნევა;
- ბ) 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება მოგების განაწილებად არ მიიჩნევა.

### მნიშვნელოვანი ცვლილებები “მეწარმეთა შესახებ” კანონში

2017 წლის 13 ივლისიდან ამოქმედდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში შემავალი ცვლილებები, რომელთა მიხედვით:

- სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის მიერ ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- კანონს დაემატა მე-5<sup>8</sup> მუხლი, რომლითაც დამკვიდრდა ახალი სამართლებრივი ტერმინი - ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოება. ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ შპს/სს-ს, რომელსაც ჰყავს ერთი პარტნიორი. აღნიშნული ცვლილებით, ერთიანად დარეგულირდა ის შემთხვევები, როცა ერთ პირს შეუძლია დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება.
- ცვლილებების თანახმად, ერთი პირის სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შპს-ს შემთხვევაში, ხოლო სს-ს შემთხვევაში – აქციათა რეესტრში, რომელიც უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.
- თუ სამეწარმეო საზოგადოებას ერთადერთი პარტნიორი ჰყავს, საერთო კრების უფლებამოსილებას ის ახორციელებს. ამგვარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ფორმდება.
- იმ სამეწარმეო საზოგადოების მიმართ, რომლის წლიური ბრუნვა გასული საგადასახადო წლისათვის არ აღემატება 1 000 000 ევროს ეკვივალენტს ლარში (შესაბამისი საგადასახადო წლის ბოლოსათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით), ამ კანონის მე-5<sup>8</sup> მუხლით დადგენილი შეზღუდვები ამოქმედდება 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

## შესაძლო ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ კანონში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს დაზღვევის შესახებ კანონში შემავალ ცვლილებებს, რომელთა მიზანია, სსიპ „დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ ფინანსური დამოუკიდებლობა, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან კერძო დაფინანსების წყაროებზე გადასვლის გზით. ამასთან, ცვლილებები მიზნად ისახავს მზღვეველთათვის შიდა აუდიტის შემოღებას, საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით.

კანონს შესაძლოა დაემატოს მე-9<sup>2</sup> მუხლი, რომლის თანახმად, მზღვეველის საქმიანობა ექვემდებარება შიდა აუდიტორულ შემოწმებას, რომელიც უზრუნველყოფს მზღვეველის მიმდინარე საქმიანობის კანონშესაბამისობის, სისწორის და ადექვატურობის შეფასებას.

ცვლილებების თანახმად, შესაძლოა კანონს დაემატოს ასევე მე-19<sup>1</sup> მუხლი, რომელიც ადგენს საზედამხედველო საფასურის განაკვეთს, რომელიც განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2017 წლის 7 ივლისს გამოქვეყნდა 2015 წლის 24 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მამაკაცებისათვის დეკრეტული შვებულების მიცემის თაობაზე.

ქართული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ბავშვის მოვლის მიზნით, ორივე მშობელს ეკუთვნის დეკრეტული შვებულება და შესაბამისი თვიური ანაზღაურება ამ დროის გარკვეული ნაწილის განმავლობაში.



ეს უფლება ვრცელდება ქალ მოსამსახურეებზე, თუმცა არ არსებობს მსგავსი ჩანაწერი მამაკაც მოსამსახურეებთან დაკავშირებით.

სასამართლოს განმარტებით, დეკრეტული შვებულება გულისხმობს ისეთ შვებულებას, რომელიც მიეცემათ პირებს ორსულობის და მშობიარობის შედეგად, ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე დეკრეტული შვებულების სუბიექტებს წარმოადგენენ არა მარტო ორსულები, არამედ ისინიც, ვინც უვლიან ბავშვს.

სასამართლოს განმარტებით, ევროპული ქვეყნების უმრავლესობა, საქართველოს ჩათვლით უზრუნველყოფს ბავშვის მოვლის შვებულებას როგორც ქალების, ასევე კაცებისათვის, ამ ქვეყნების უმრავლესობა კი ამ უფლებას ავრცელებს მოსამსახურე კაცებზეც და ქალებზეც. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ საჯარო მოსამსახურედ ყოფნა არ უნდა გახდეს მისდამი დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველი.

### შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

**გიორგი თავართქილაძე**  
საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

**გიორგი ხუროძე**  
იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)



## deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.